

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი ზურაბ ზუცხრიკიძე

„19“ 12 „ 2014 წელი

ეგზ. № 1

ხოზის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში № 43/00
(01.01.2012-01.01.2014)

2014 წელი

სარჩევი

შესავალი.....	3
აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები.....	10
შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები	10
ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დაწესებული ჯარიმები.....	10
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი და მიუღებელი სპეციალური ტრანსფერი	13
ხარჯთაღრიცხვების შედგენა და შესრულებული ზედამხედველობითი სამუშაოები.....	14
სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები.....	16
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საყანე ფართობების შემოღობვა.....	17
დღგ-ით გამოცხადებული ტენდერი.....	19
შპს „ხობის დასუფთავება და განათება“.....	19
ქონების პრივატიზების დროს გამოვლენილი დარღვევები.....	20
მუნიციპალიტეტის მიერ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება.....	22
წინა წლებში იჯარით გაცემული სახელმწიფო მიწა.....	26
ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ორგანიზაციები ...	26
მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია	27
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების პარაგრაფი.....	28
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“	28
მუნიციპალიტეტზე გადაცემული შპს.....	28
აუთვისებელი და დაუბრუნებელი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები, გრანტი....	29
პოლიციაზე გაწეული ხარჯები.....	29
მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხი.....	30
გაცემული პრემიები.....	31
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	31
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	32
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	32

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა 2012-2013 წლებში ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- ✓ მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ხობის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 22 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ერთ ქალაქს, 15 თემსა და 6 სოფელს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს 676 კვ.კმ-ს. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 41.5 ათასს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ხობი.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;

¹2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/population/01%20saqarTvelos%20mosaxleobis%20ricxovnoba%20TviTmmarTveli%20erTeulebis%20mixedviT%20%281%20ianvris%20mdgomareobiT%29%29.xls

✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ხობის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 8 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია ასევე 3 შპს.

ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ხობის თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებს და სხვა შემოსულობებს. მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს შემდეგ ტრანსფერებს:

- დელეგირებულ უფლებამოსილებათა დასაფინანსებლად – მიზნობრივ ტრანსფერს;
- ფინანსური დახმარების სახით – სპეციალურ ტრანსფერს.


ხოზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობებმა 2012-2013 წლებში შეადგინა 19082.5 ათასი ლარი. მათ შორის: 2012 წელს შემოსულობების სახით მიღებულია 9 951.5 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 9 131 ათასი ლარი. აქედან, შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
შემოსავლები	8820.7	9097.9	17918.6
გადასახადები	5782	4280.2	10062.2
გრანტები	2472.8	4245.6	6718.4
სხვა შემოსავლები	565.9	572.1	1138
არაფინანსური აქტივების კლება	1130.8	33.1	1163.9

ხოზის მუნიციპალიტეტი გამოთანაბრებით ტრანსფერს არ იღებს. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში შემოსულობების 35% სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერია.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებსა და ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსულობებს შორის თანაფარდობა - 2012-2013 წლები (ფაქტობრივი შესრულება)



ხოზის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით 2012-2013 წლებში სულ მიღებული აქვს 6153.5 ათასი ლარი. აქედან: სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 3982.2 ათასი ლარი; საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან - 416.0 ათასი ლარი; მიღებული თანხებით მუნიციპალიტეტში განხორციელებულია გზის რეაბილიტაციის, ქალაქის გარე განათების მოწყობის სამუშაოები და სხვა პროექტები, აგრეთვე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე“ მიმართულია 1755.3 ათასი ლარი. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებულია 160.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა: 2012 წელს - 9 372.1 ათასი ლარი; 2013 წელს - 10 024.5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები შეადგენდა: 2012 წლის 1 იანვრისათვის - 485.2 ათას ლარს, ხოლო 2013 წლის 1 იანვრისათვის - 1091.5 ათას ლარს.


ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
ხარჯები	5666.5	7235.5	12902.0
შრომის ანაზღაურება	1674.0	1904.9	3578.9
საქონელი და მომსახურება	807.0	2304.7	3111.7
პროცენტი	185.7	108.0	293.7
სუბსიდიები	2711.6	2721.7	5433.3
გრანტები	0.0	0.0	0.0
სოც. უზრუნველყოფა	288.2	196.2	484.4
სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3499.8	2691.2	6191.0
ვალდებულებების კლება	205.8	97.8	303.6

2012-2013 წლებში ბიუჯეტების დანახარჯების დინამიკა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ასეთია:

(ათასი ლარი)



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება და შეადგენს ბიუჯეტის 24%-ს. აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობა. ასევე ბიუჯეტის 19% გამოყენებულ იქნა ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც მოიცავს გზების რეაბილიტაციას, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ და სხვა სამუშაოებს. საბინაო კომუნალური მეურნეობისა და დასვენება-კულტურა-რელიგიის დაფინანსებას მოხმარდა ბიუჯეტის 19%, გარემოს დაცვას - 14%, განათლებას - 12%. რაც შეეხება თავდაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას, თითოეული დაფინანსდა ბიუჯეტის 1%-ის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

ხობის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამისა და ღონისძიებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისათვის განხორციელდა 25 ელექტრონული ტენდერი, 21 შესყიდვა - კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, 89 - გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და 602 - გამარტივებული შესყიდვის გზით.

2012-2013 წლებში განხორციელებული შესყიდვები(სახელშეკრულებო ღირებულებით)

(ათასი ლარი)

	გამარტივებული შესყიდვა	გამარტ.ელ- ტენდერი	ელ.ტენდერი	კონსოლიდ. ტენდერი	სულ
	რაოდენ. თანხა	რაოდენ. თანხა	რაოდენ. თანხა	რაოდენ. თანხა	რაოდენ. თანხა
2012	291 - 2339.3	47 - 1017.2	14 - 549.4	12 - 168.6	364 - 4074.5
2013	311 - 3639.4	42 - 340.7	11 - 1535.3	9 - 244.1	373 - 5759.5
სულ	602 - 5978.7	89 - 1357.9	25 - 2084.7	21 - 412.7	737 - 9834.0

2012-2013 წლებში გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული შესყიდვები ძირითადად მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან („სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან) მიღებულ სახსრებზე.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები

შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები

ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დაწესებული ჯარიმები

შესყიდვების შესწავლით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში სისტემატური ხასიათი აქვს მიმწოდებლებზე შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაწევას, კერძოდ: 2012 წელს შეტანილია ცვლილება და გადაწეულია ვადა მიმწოდებლებთან გაფორმებულ 24 ხელშეკრულებაში, რომლის შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 1808.3 ათას ლარს (მთლიანი შესყიდვების 44,3%), 2013 წელს კი ცვლილება შეტანილია 80 ხელშეკრულებაში, რომლის შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 2734.1 ათას ლარს (მთლიანი შესყიდვების 47,4%).

ვადის გადაწევის საფუძველს წარმოადგენდა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების კორექტირება და უამინდობა. ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაწევის მიზეზი გარკვეულწილად შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადის არასწორი განსაზღვრა, შემჭიდროებული ვადები, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის შესყიდვის დროს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

მიმწოდებლების მიერ უამინდობის დასადასტურებლად წარმოდგენილია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობები ნალექიანი დღეების შესახებ, სადაც არ არის მითითებული მოსული ნალექის ოდენობა. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს ერთი და იგივე ცნობა (ასლები).

მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების დამთავრების ვადა გადაწეულია იმდენი დღით, რამდენი ნალექიანი დღეცაა ნაჩვენები წარმოდგენილ ცნობაში.

მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, მიმწოდებლების მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის შესაფერისი მეტეოროლოგიური პირობების არ არსებობა, შეიძლება არ ჩაითვალოს განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმიტომ, რომ არ დარიცხოდა ჯარიმები.

მოუხედავად ვადის გადაწევისა, მიმწოდებელი სამუშაოებს დაგვიანებით აბარებდა. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე დარიცხულია ჯარიმები: 2012 წელს - 21.5 ათასი ლარი, 2013 წელს კი - 21.1 ათასი ლარი. დარიცხული ჯარიმებიდან ამოუღებელი თანხა აუდიტის მიმდინარეობისას შეადგენდა 28.9 ათას ლარს.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლების გარკვეულ ნაწილს, რომელთაც არ გადაუხდიათ ვადაგადაცილებისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხები, მაინც სრულად აუნაზღაურდათ შესრულებული სამუშაოების ღირებულება. მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამუშაოების შესასრულებელად, გამარტივებული შესყიდვით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 7 ისეთ მიმწოდებელთან, რომელთაც არ ჰქონდათ გადახდილი 2013 წელს დარიცხული ჯარიმები, თანხით 11.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული ჯარიმების გადახდაზე შეთანხმება მიმწოდებლებთან მიღწეული არ არის და არც შესაბამისი ღონისძიებებია გატარებული.

2011 წელს ტენდერში გამარჯვებულ შპს „ენგურთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება გურამიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობაზე, თანხით 49.9 ათასი ლარი². სამუშაოების ვადა განისაზღვრა 73 დღით და უნდა დამთავრებულიყო 2011 წლის 12 დეკემბრამდე. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ „გარემოს

² SPA 110022602; 2011 წლის 30 სექტემბრის №141 ხელშეკრულება.

ეროვნული სააგენტოს“ ცნობები ნალექიანი დღეების შესახებ, რომელთა საფუძველზეც მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია 5-ჯერ, სულ - 60 დღით, 2012 წლის 10 თებერვლამდე.

მიუხედავად ვადის რამდენჯერმე გადაწევისა, 2012 წლის 9 თებერვალს შპს „ენგურმა“ კვლავ მიმართა მუნიციპალიტეტს და „ყინვიანი ამინდების გამო“ ითხოვა სამუშაოების დამთავრების ვადის 6 დღით გადაწევა, რის შესახებაც მას შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. მუნიციპალიტეტმა შპს „ენგურს“ გადაუწია სამუშაოების დასრულების ვადა და არ დაარიცხა საჯარიმო სანქცია 0.9 ათასი ლარი. გარდა ამისა, სამუშაოების დაგვიანებით ჩაბარების გამო, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დარიცხული საჯარიმო სანქცია შპს „შარა-გზამშენი პირველ“-ზე -2.5 ათასი ლარი, შპს „ურბან მოტორს“-ზე - 0.5 ათასი ლარი, შპს „ზერო+“-ზე - 0.2 ათასი ლარი. სულ დაურიცხავმა ჯარიმამ შეადგინა 4.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული სანქციები განსხვავებულია: ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლო განსაზღვრულია სახელშეკრულებო ღირებულების 0.07%, 0.1%, 0.2% და 0.3 %-ით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში (ხელშეკრულების შეწყვეტისას) დასაკისრებელი საჯარიმო სანქცია განსაზღვრულია სახელშეკრულებო ღირებულების ან შეუსრულებელი სამუშაოს 5% ან 10%-ით. მუნიციპალიტეტისაგან ვერ იქნა წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტები იმის შესახებ, თუ რის გამო ხდებოდა მიმწოდებლებთან განსხვავებული საჯარიმო სანქციების დაწესება.

არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც აღნიშნული საჯარიმო სანქცია 5% ან 10 %-ის ნაცვლად განსაზღვრულია 0.3%-ის ოდენობით. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ნაგვის გასატანი მანქანების შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერზე (SPA 130010312), სადაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 100 ათას ლარს, ხელშეკრულების

პირობაში საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების შეწყვეტისათვის განსაზღვრულია 0.1%-ით. ტენდერში გამარჯვებულმა ი/მ „ნუგზარ წოწონავამ“ მუნიციპალიტეტს მანქანები არ მიაწოდა და მას შეუწყვიტეს ხელშეკრულება. აღნიშნულის გამო ი/მ „ნუგზარ წოწონავას“ მუნიციპალიტეტმა დააკისრა ჯარიმა 71 ლარი (სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 71.0 ათას ლარს).

აღნიშნული დაბალი საჯარიმო სანქციის პირობებში მიმწოდებელს ურჩევნია ჯარიმა გადაიხადოს, ვიდრე მუნიციპალიტეტს საქონელი მიაწოდოს კონკურენციის შედეგად ტენდერში დაფიქსირებული დაბალი ფასის გამო, რაც, თავის, მხრივ იწვევს მუნიციპალიტეტის დაგეგმილი საქმიანობის შეფერხებას და მოსახლეობისთვის გასაწევი მომსახურების გადავადებას. გარდა აღნიშნულისა, მიმწოდებლებზე ადეკვატური ჯარიმის დაწესების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მათზე გაცილებით მეტი სანქციის დაკისრება და ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი და მიუღებელი სპეციალური ტრანსფერი

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) მუნიციპალიტეტს, ხეთასა და თორსა-დღვაბის თემში მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად გამოეყო 675.9 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულ თანხას მუნიციპალიტეტი მიიღებდა მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით მუნიციპალიტეტმა სამჯერ გამოაცხადა ტენდერი: პირველად ტენდერში, რომელიც გამოცხადდა 2013 წლის 30 ივლისს (SPA130016659) სავარაუდო ღირებულებით 671.2 ათასი ლარი, არავინ მიიღო მონაწილეობა და ტენდერი არ შედგა. იმავე წლის 23 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი (SPA130018518) დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 23 ოქტომბერს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA130023130) შეწყდა.

ამდენად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ტენდერის ისეთი პირობებით გამოცხადება, რომ იგი დასრულებულიყო დადებითი შედეგით. აღნიშნულის გამო

მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო სახელმწიფოსაგან გამოყოფილი 671.2 ათასი ლარის სპეციალური ტრანსფერი. შედეგად, ვერ მოხერხდა მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაციაზე ადრე დაწყებული სამუშაოების დასრულება და მოუგვარებელი დარჩა მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების პრობლემა.

ხარჯთაღრიცხვების შედგენა და შესრულებული ზედამხედველობითი სამუშაოები

მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე სულ გახარჯულია 331.8 ათასი ლარი (2012 წელს - 90.2 ათასი ლარი, 2013 წელს - 241.6 ათასი ლარი), აქედან, „სოფლის პროგრამის“ სამუშაოების შესრულებისათვის შედგენილ პროექტებზე - 82.7 ათასი ლარი.

სასურველია, მუნიციპალიტეტის მიერ ისეთ მარტივ პროექტებზე, სადაც სამუშაოების არსებითი მახასიათებლები არ იცვლება (გზების მოხრეშვითი, საყანე ფართობების შეღობვა და სხვა სამუშაოები), უნდა შედგეს ტიპური პროექტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ანალოგიური სამუშაოების შესასრულებლად და არ მოხდება თითოეული სახის სამუშაოზე ცალ-ცალკე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და ხარჯის გაწევა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესრულებულია ისეთ სამუშაოებზეც, რომელთა შესყიდვა შემდგომ პერიოდში აღარ განხორციელებულა და დარჩა გამოუყენებელი. 2012 წელს ასეთი 9 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია იყო 17.5 ათასი ლარის ღირებულებით, ხოლო 2013 წელს - 43.6 ათასი ლარის ღირებულების 10 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური. დებულებით სამსახურს ევალებოდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში შექმნილია შესყიდვების ხელშეკრულების შესრულებაზე

კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების ჯგუფი³. აღნიშნული ჯგუფი დასრულებული სამუშაოების მიღებას ახდენდა ტექნიკური ზედამხედველის მიერ სამუშაოების დასრულების დადასტურების შემდგომ.

მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, სხვადასხვა ფირმებსა და ინდემწარმებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და გაწეულია 17.2 ათასი ლარის ხარჯი. მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტები, თუ რატომ გახდა საჭირო სამუშაოებზე დამატებით ზედამხედველების დაქირავება.

გაწეული ხარჯების არაეფექტიანობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტექნიკურმა ზედამხედველმა ჩაიბარა მიმწოდებლის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაო, კერძოდ:

ტენდერში გამარჯვებულ შპს „შარა-გზამშენ პირველს“ ხელშეკრულების მიხედვით 2013 წელს უნდა შეესრულებინა ქ.ხობის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები, თანხით 379.9 ათასი ლარი⁴. აღნიშნული სამუშაოების შესრულების ტექნიკური ზედამხედველობა დაევალა ტენდერში გამარჯვებულ შპს „კოლხი პირველს“⁵, მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 1.9 ათასი ლარი.

შპს „შარა-გზამშენ პირველმა“ სამუშაოები დაასრულა 2013 წლის 20 დეკემბერს, რასაც ტექნიკური ზედამხედველი ადასტურებს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტით (წერილი №25; 20.12.2013). ტექნიკურ ზედამხედველს შესრულებული სამუშაოების მიღებისას ხარისხზე პრეტენზია არ გამოუთქვამს. პრეტენზია არ ჰქონია აგრეთვე სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“, რომელმაც 2014 წლის იანვარში, შპს „შარა-გზამშენი პირველის“ დაკვეთით ჩაატარა სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების ექსპერტიზა.

2014 წლის 7 თებერვალს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების მიღების დროს, ობიექტის შემოწმებით აღმოჩნდა

³ აღნიშნულ ჯგუფს 2013 წელს ეწოდა „კონტროლის ჯგუფი“.

⁴ SPA130015602; 2013 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულება №73.

⁵ გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA130015813; ხელშეკრულება № 68.

უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, როგორცაა: ბეტონის ბორდიურები, დეკორატიული ფილები, რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები და სხვ. მიმწოდებელი დაჯარიმდა 12.2 ათასი ლარით და სამუშაოების დასრულებისათვის მიეცა დამატებითი 30-დღიანი ვადა.

სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაჩეული ხარჯები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში.

კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო მიმწოდებლისათვის ანაზღაურება განეხორციელებინა მხოლოდ ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტაციის საფუძველზე. აუდიტის მსვლელობისას ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ შემსყიდველმა კანონმდებლობის სრული დაცვით განახორციელა კონტრაქტორთან ანგარიშსწორება.

ხოების მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ივლისიდან სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა განხორციელებულია ისე, რომ აღნიშნული წესი გამოყენებული არ არის და მიმწოდებლებზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია წარმოდგენილი სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) საფუძველზე; ამასთან არ არის მოთხოვნილი და არც მიმწოდებლების მიერაა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ფაქტობრივი დანახარჯებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები შესახებ.

2012 წლის ივლისიდან 2014 წლის იანვრამდე გამარტივებული წესით

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულია 208 შემთხვევაში, თანხით 3775.5 ათასი ლარი, მათ შორის: 2012 წელს - 74 შემთხვევაში შეძენილია 1255.1 ათასი ლარის, ხოლო 2013 წელს - 134 შემთხვევაში, 2520.4 ათასი ლარის სამუშაო. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა №2) ნაჩვენები გაწეული ხარჯები კი იდენტურია ამ სამუშაოების ხარჯთაღიცხვისა. მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები სამუშაოების ღირებულება, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, განსხვავდება შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მიმწოდებლებზე ანაზღაურებულია ზედმეტი თანხები. აუდიტის მსვლელობისას ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, ვერ დადგინდა რეალურად განხორციელდა თუ არა, და რა რაოდენობით, საბიუჯეტო თანხების ზედმეტად გადახდა. აღნიშნულის გამო, საკითხი შესწავლილ უნდა იქნეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საყანე ფართობების შემოღობვა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხებით შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ჩატარებული კრებების საოქმო ჩანაწერების მიხედვით, კრების მონაწილეთა უმეტესობის მოთხოვნით, თანხების გარკვეული ნაწილი მიმართულია კერძო საკუთრებაში არსებული სახნავი მიწების შემოსაღობად, რადგან მოსახლეობას ამისათვის საჭირო საკუთარი ფინანსები არ გააჩნდა. პროექტის განხორციელების მიზანი იყო სახნავი ფართობების დაცვა წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან.

2012-2013 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით საყანე ფართობების შემოღობვისათვის გათვალისწინებული იყო 232.9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები (2012 წელს - 105.1 ათასი ლარი, 2013 წელს - 127.8 ათასი ლარი). საყანე ფართობების შემოღობვასთან

დაკავშირებით ყოველ მიწის ნაკვეთზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ცალ-ცალკეა შედგენილი და ანაზღაურება თითოეულ მათგანზე განსაზღვრული, რამაც საერთო ჯამში 10.1 ათასი ლარი შეადგინა (2012 წელს - 4.6 ათასი ლარი, 2013 წელს - 5.5 ათასი ლარი), თუმცა ეს ხარჯთაღრიცხვები ძირითადად ერთმანეთის იდენტურია და მათში ასახული/გათვალისწინებული არ არის კონკრეტული ფართობის რელიეფი და სხვა განმასხვავებელი პარამეტრები. შეცვლილია მხოლოდ ღობის სიგრძე და შესაბამისად, გადაანგარიშებულია საჭირო მასალების რაოდენობა.

ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა, რომ მუნიციპალიტეტს დაეკვეთა მხოლოდ ერთი ხარჯთაღრიცხვა და შემდგომ, როგორც ტიპური პროექტი, სათანადო გადაანგარიშებით, ღობის სიგრძიდან გამომდინარე, გამოეყენებინა სხვა ანალოგიური სამუშაოებისათვის. აღნიშნული ქმედებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხებიდან დაიზოგებოდა რამდენიმე ათასი ლარი.

შესრულებული სამუშაოების ანალიზით ირკვევა, რომ 2012-2013 წლებში საყანე ფართობების შემოღობვაზე გაწეული ხარჯებიდან მასალისა (ძირითადი მასალაა აკაციის მესერი და უჟანგავი ორწვერიანი ეკალმავთული) და მისი ტრანსპორტირების ხარჯები (დარიცხვების გარეშე) შეადგენს მთლიანი ხარჯების 64%-დან 72%-მდე, ხოლო დანარჩენი ხარჯები - შრომის ანაზღაურება (10-13%) და დარიცხვებია (ზედნადები ხარჯები, გეგმური დაგროვება, დღგ).

უმჯობესია, რომ მსგავსი ტიპის სამუშაოების შესყიდვისას მოხდეს მხოლოდ მასალების მიწოდება, ხოლო სამუშაოები შესრულდეს თავად მოსახლეობის მიერ. აღნიშნულით არსებითი ფინანსური რესურსები დაიზოგება და მუნიციპალიტეტს დამატებითი პროექტების განხორციელების საშუალება მიეცემა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ ფრაგლებში 2012 წელს მიღებული თანხებიდან სოფელ საგვიჩიოსთვის გამოყოფილია 16.3 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართულია სოფლის მეორე უბანში შემოსასვლელი გზისპირა ტერიტორიის შემოსაღობად. ამ სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებასა და ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია საყანე ფართობის შემოკავება, მაგრამ ყანის ნაცვლად ფაქტობრივად შემოღობილია სოფელში

შემოსასვლელი გზისპირა ტერიტორიის მცირე ნაწილი ორივე მხარეს, სულ 472 გრძივი მეტრი და გაუგებარია შემოღობვის მიზანი, რადგან მათ გასწვრივ მდებარე გზისპირა ზოლი წარმოადგენს მიტოვებულ ძველ ნასახლარებს, რომელთა დიდი ნაწილი სარეველა მცენარეებითა და ბუჩქნარითაა დაფარული.

დღგ-ით გამოცხადებული ტენდერი

2012 წლის აპრილში მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ტენდერი მსუბუქი „პიკაპის ტიპის“ ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვაზე (SPA120010880), თანხით 50 ათას ლარზე. ტენდერი გამოცხადდა დღგ-ის ჩათვლით (გათვალისწინებით). საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მსუბუქი ავტომობილის მიწოდება დღგ-ისაგან განთავისუფლებულია⁶. ამდენად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ტენდერი უნდა გამოცხადებინა დღგ-ის გარეშე. ტენდერში გაიმრჯვა შპს „ავტოლაინმა“, თანხით 48.5 ათასი ლარი. ავტომანქანის მოწოდებისას მას დღგ-ის ანგარიშფაქტურა არ წარმოუდგენია, მაგრამ თანხა მაინც სრულად აუნაზღაურდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს ამ პერიოდში 2012 წლის აპრილ-მაისის თვეებში მსუბუქი ავტომობილების შეძენაზე კიდევ სამჯერ აქვს გამოცხადებული ტენდერი დღგ-ის ჩათვლით (გათვალისწინებით), მაგრამ აღნიშნული ტენდერებიდან ორი არ შედგა, ხოლო ერთი - შეწყდა⁷.

შპს „ხობის დასუფთავება და განათება“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის №88 განკარგულებით დაფუძნებულია შპს „ხობის დასუფთავება და განათება“. წესდების მიხედვით შპს-ის შექმნის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გარე განათების უზრუნველყოფა, საკანალიზაციო ქსელის გამართული ფუნქციონირება, სამშენებლო სამუშაოების შესრულება და სხვ. შპს-ის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1840.3 ათას

⁶ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

⁷ SPA120010616, SPA120011425 - არ შედგა. SPA120010880 - შეწყდა მიზანშეუწონლობის გამო.

ლარს, სადაც შედის მასზე გადაცემული დასუფთავებისათვის საჭირო სპეციალური ავტომატები, საკანალიზაციო სისტემა, გარე განათების სისტემა და სხვა ქონება.

შპს „ხობის დასუფთავება და განათება“ თავისივე წესდებით გათვალისწინებული მომსახურებისა და სამუშაოების შესასრულებლად მუნიციპალიტეტიდან სუბსიდიის სახით 2012 წელს მიღებული აქვს 584.2 ათასი ლარი, 2013 წელს კი - 504.1 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ არ იყო განსაზღვრული კონკრეტულად რომელი დავალების შესასრულებლად გადაეცა სუბსიდია შპს-ს, აგრეთვე მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული სუბსიდიის შესაბამისი მომსახურებისა და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულება მათი მხრიდან შპს-ის მიერ მიღებული სუბსიდიით შესრულებული სამუშაოებისა და შესაბამისი თანხის ხარჯვაზე განხორციელებულ კონტროლთან დაკავშირებით.

ქონების პრივატიზების დროს გამოვლენილი დარღვევები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის⁸ მეშვეობით მუნიციპალიტეტში პრივატიზებულია 17 ობიექტი, მათ შორის 16 ერთეული გასხვისებულია მიწის გარეშე, დაშლა-გატანით. 16 ობიექტიდან - 10 ერთეული: ფარდულის შენობა, საყოფაცხოვრებო სახლი, აბანო, ფინური სახლი, მაღაზიის შენობა, წისქვილი და სხვ. ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე, მაგრამ არ იყო გადმოცემული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁹, არც საჯარო რეესტრში იყო დარეგისტრირებული, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრება და ამდენად, მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა მისი განკარგვის უფლება.

⁸ საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 15 სექტემბერის ბრძანება №188.

⁹ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული და გადმოუცემელი ქონება აღრიცხული იყო მიწის გარეშე. მათი პრივატიზებით მიღებულმა შემოსავალმა 6.2 ათასი ლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 მარტის №354 განკარგულებით, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. №188-ში მდებარე შენობა, როგორც ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება (საკადასტრო კოდი №452103052). საკრებულომ 2012 წლის 25 მაისს აღნიშნული შენობის არასაცხოვრებელი ფართობის ნაწილი, 30.8 კვ.მ (საკადასტრო კოდი №452103052 - 01/500) შეიტანა საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში, თუმცა მითითებული არ არის, რომ ის წარმოადგენდა ძირითად ქონებას და თავდაპირველი ფუნქციის დაკარგვის გამო შესაძლებელი იყო მისი პრივატიზება¹⁰. საკრებულოს განკარგულებით აგრეთვე დამტკიცდა ამ ობიექტის საპრივატიზებო პირობები და ფასი, მაგრამ მათში ასახული არ არის საპრივატიზებო არასაცხოვრებელ ფართობზე მიკუთვნებული შესაბამისი (პროპორციული) ოდენობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი და მისი ღირებულება, რომლითაც უნდა გაზრდილიყო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი.

მუნიციპალიტეტის სააუქციონო კომისიამ, საკრებულოს მიერ დამტკიცებული პირობებით 2012 წლის 17 ივლისს გამართულ აუქციონზე განახორციელა აღნიშნული ობიექტის პრივატიზება. აუქციონში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პირმა, რომელმაც საწყის გასაყიდ ფასს დაამატა „ბიჯით“ განსაზღვრული თანხა და გადაიხადა 2.5 ათასი ლარი. 2012 წლის 3 აგვისტოს მასთან გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში უძრავ ქონებაზე (არასაცხოვრებელ ფართობზე) კანონმდებლობით¹¹ გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ფართობი მითითებული არ იყო, საჯარო რეესტრმა მაინც გაატარა რეგისტრაციაში პრივატიზებული ობიექტი ახალ მესაკუთრეზე.

¹⁰ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ძირითადი ქონების პრივატიზება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ მან დაკარგა თავისი ფუნქცია.

¹¹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „უ“¹ პუნქტი.

მუნიციპალიტეტის მიერ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის №17 განკარგულებით, შექმნილია შესაბამისი კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით. კომისიის სხდომის ოქმების მიხედვით, კომისიის საქმიანობაში ფაქტობრივად მონაწილეობას არ იღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამხარეო სამმართველოს წარმომადგენელი, რის საფუძველზეც უნდა დასმულიყო საკითხი მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ¹². რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელს, ის საერთოდ არ არის გათვალისწინებული კომისიის შემადგენლობაში.

კომისიის სხდომები გაფორმებულია ოქმებით, მაგრამ მათში ასახული არ არის შემდეგი მონაცემები: ინფორმაცია დაინტერესებული პირის მონაწილეობის შესახებ, მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე აღწერა, უფლებასაღიარებელი მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების შედეგები და სხვ.

2012-2013 წლებში კომისიის მიერ საკუთრების უფლების აღიარება განხორციელდა 105 მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, 98 წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო, სახნავი) მიწის ნაკვეთს, რომელთაგან 71-ზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები (საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები). არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 ნაკვეთიდან შენობა-ნაგებობები განთავსებულია 6-ზე. ორი წლის განმავლობაში მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან მიღებულმა შემოსავალმა ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგინა 30.3 ათასი ლარი, მათ შორის: 2012 წელს - 13.8 ათასი ლარი, 2013 წელს - 16.5 ათასი ლარი.

დაინტერესებული პირების მიერ მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელ დოკუმენტად კომისიაში უმეტესწილად წარდგენილია მოწმეების

¹² „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბერს №525 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ნოტარიალურად დამოწმებული განცხადებები, რომლებიც ადასტურებს დაინტერესებული პირების მიერ მიწის ნაკვეთების თვითნებურად ფლობის ფაქტებს და მათზე შენობა-ნაგებობების განთავსებას (ასეთის არსებობების შემთხვევაში) არ მიუთითებენ. აღნიშნულ მიწაზე შენობა-ნაგებობები აშენებული იყო თუ არა ზემოთ აღნიშნული კანონის ამოქმედებამდე, ამის დაზუსტება ვერ ხერხდება, რადგან დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი არ არის დამატებითი მტკიცებულებები: ელ. ენერგიის გადამხდელ აბონენტად დადგომის დოკუმენტები ან გადახდის ქვითრები.

კომისიის საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა ისეთი ფაქტები, როდესაც საკუთრების უფლების აღიარება განხორციელდა იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზედაც არც შენობებია განთავსებული და არც დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულის მომიჯნავეს წარმოადგენს¹³. არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებულ პირზე გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა, მაგრამ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი მეტია საკუთრების უფლების მოწმობაში არსებულ შესაბამის მონაცემებზე. კერძოდ:

- ქ. თბილისში მცხოვრებმა მოქალაქე, იური ტყეშუჩავამ 2012 წლის 6 დეკემბერს, თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის (მეუღლის), ნანა გერგაიას მეშვეობით მიმართა კომისიას და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ თვითნებურად დაკავებული 600.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის დაკანონება. საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დამადასტურებლად კომისიაში წარმოდგენილია 2012 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან¹⁴, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით, იმავე წლის 5 ნოემბერს ამ ნაკვეთის მესაკუთრე, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე¹⁵, უკვე სხვა პიროვნებაა. ვინაიდან კომისიაში განცხადების შეტანის დროს იური ტყეშუჩავა არ ფლობდა ზემოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას, მას უკვე აღარ შეეძლო თვითნებურად დაკავებულ

¹³ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁴ ამონაწერი გაცემულია იური ტყეშუჩავას სახელზე საკადასტრო კოდი: № 452121094.

¹⁵ დამოწმებული 2012 წლის 31 ოქტომბერს.

თავისუფალ მიწის ფართობზე მოეთხოვა საკუთრების უფლების აღიარება მომიჯნავეობის (მიმდებარეობის) პრინციპით. კომისიის სხდომაზე, აღნიშნული საკითხის განხილვის დროს არ არის გათვალისწინებული ზემოთ ხსენებული შეუსაბამობა და დაკმაყოფილებულია დაინტერესებული პირის განცხადება. იური ტყეზუჩავაზე 2012 წლის 25 დეკემბერს გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №737 (საკადასტრო კოდი №452121097).

- ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე გურიფულში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა, სევდარი ჭითავამ, 2013 წლის 29 აგვისტოს განცხადებით მიმართა კომისიას და მოითხოვა მის მიერ თვითნებურად დაკავებული 46.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის დაკანონება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ეს ნაკვეთი მდებარეობს შპს „მერცხალის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრიდან იურიდიულ პირებს აღარ ჰქოდათ მიწაზე საკუთრების აღიარების უფლება, რადგან მოთხოვნილ ფართობზე შენობა არ იდგა და ის დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არ მდებარეობდა და ამიტომ მასზე არ უნდა მომხდარიყო საკუთრების უფლების აღიარება. მიუხედავად აღნიშნულისა, კომისიამ დააკმაყოფილა სევდარი ჭითავას განცხადება და 2013 წლის 24 სექტემბერს გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №773 (საკადასტრო კოდი: №452122050).

- ქ. ფოთში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა, მალხაზ ჩილაჩავამ 2013 წლის 22 მაისს დამოწმებული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლება მოიპოვა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩოში მდებარე 1501.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თავისუფალ მიწის ფართობზე. 2013 წლის 31 მაისს დამოწმებული ხელშეკრულებით მან ეს მიწის ნაკვეთი აჩუქა გიზო ჩილაჩავას, რომელმაც 2013 წლის 3 სექტემბერს განცხადებით მიმართა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა მის მიერ თვითნებურად დაკავებული 1500.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის დაკანონება, როგორც მის საკუთრებაში არსებული (ზემოთ აღნიშნული ნაჩუქარი) მიწის ნაკვეთის მომიჯნავე.

აღნიშნული საკითხის განხილვისას კომისიის მიერ შედგენილი ოქმის მიხედვით, კომისიის ოთხივე წევრმა კენჭისყრის შედეგების მიხედვით მხარი დაუჭირა ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად გათვალისწინებულ იქნა მემკვიდრეობის ან უფლებამონაცვლეობის პრინციპი თუ სხვა გარემოებები, ოქმში არ ფიქსირდება. გიზო ჩილაჩავაზე 2013 წლის 3 ოქტომბერს კომისიის თავმჯდომარემ გასცა საკუთრების უფლების მოწმობა №779 (საკადასტრო კოდი №451123169).

- ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისქურში მცხოვრებ ფრიდონ ქირიას კომისიამ საკუთრების უფლების აღიარება განუხორციელა 3500კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, როგორც მის საკუთრებაში არსებული მომიჯნავე 3601 კვ.მ მიწის ფართობზე (საკადასტრო კოდი №451923064). მასზე 2012 წლის 30 მაისს გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №699. 2013 წლის 15 მაისის საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული მოწმობის საფუძველზე, ფრიდონ ქირიას საკუთრებაში რეგისტრირებულმა მიწის ფართობმა შეადგინა 3842 კვ.მ (საკადასტრო კოდი №451923290), ანუ 341.90 კვ.მ-ით მეტი - კომისიის მიერ საკუთრება - უფლებააღიარებულ მიწის ნაკვეთთან შედარებით.

- ქ. ბათუმში მცხოვრებ დალი ხურციას, კომისიამ საკუთრების უფლების აღიარება მოუხდინა სოფელ გურიფულში მდებარე 4000.1 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლი და დამხმარე ნაგებობა. მასზე 2012 წლის 4 ივლისს გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №714. 2012 წლის 10 ივლისის საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული მოწმობის საფუძველზე დალი ხურციას საკუთრებაში რეგისტრირებულმა მიწის ფართობმა შეადგინა 4101.0 კვ.მ (საკადასტრო კოდი №450425029), ანუ 100.9კვ.მ-ით მეტი, კომისიის მიერ საკუთრება-უფლებააღიარებულ მიწის ნაკვეთთან შედარებით.

მიწის საკუთრების უფლების აღიარების ზემოთ აღნიშნული ფაქტები შესწავლილ უნდა იქნეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

წინა წლებში იჯარით გაცემული სახელმწიფო მიწა

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2001-2006 წლებში ხობის რაიონის გამგეობის მიერ მოიჯარეებზე იჯარით გაცემულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 7 მოიჯარეზე გაცემულია 429 955 კვ.მ მიწის ფართობი. მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს საიჯარო ქირის გადახდის აღრიცხვას და შესაბამისად, არც საიჯარო ქირის გადახდის კონტროლი მიმდინარეობს. ხაზინის ამონაწერების მიხედვით, სააუდიტო პერიოდში მიწაზე საიჯარო ქირის გადახდა ადგილობრივ ბიუჯეტში არ ფიქსირდება. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტი კარგავს შემოსავლებს.

ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ორგანიზაციები

პასუხისმგებელი პირების¹⁶ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით (ახსნა-განმარტებები) ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის 4 თემში (პირველი მაისი, საჯიჯაო, ძველი ხიბულა, ხამისქური) არსებულ ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებულია ა(ა)იპ „კომპიუტერული ცოდნის ცენტრი“, რომელსაც დაკავებული აქვს 82 კვ.მ ფართობი, ხოლო ხელშეკრულება ფართობის დაქირავებაზე გაფორმებული არ არის. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ ფართობზე სს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალი ასრულებს ფუნქციებს. სს „ლიბერთი ბანკთან“ ხელშეკრულება ფართობის დაქირავებაზე გაფორმებული არ არის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 13 ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებულია შპს „ჭალადიდის ამბულატორიული გაერთიანების“ საექიმო

¹⁶ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები.

ამბულატორიები, რომელთაც დაკავებული აქვთ 420 კვ.მ-ის ფართობი. აღნიშნული ფართობები შპს-ზე გადაცემული არ არის.

ამდენად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობებში არსებული 502 კვ.მ ფართობზე ისეა განლაგებული სხვადასხვა ორგანიზაციები, რომ მათზე ეს ფართობები რაიმე ფორმით გაცემული არ არის. ფართობის ნაწილი კომერციული მიზნებითაა დაკავებული, მაგრამ მუნიციპალიტეტი აქედან შემოსავალს ვერ იღებს.

მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2011 წლის 16 ნოემბრის №251 ბრძანებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა ყოველი წლის 17 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე პერიოდში, ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

2012 წლის ბოლოს კომისიის მიერ ჩატარებულია ინვენტარიზაცია, რომლის დაწყების თარიღი ბრძანების მიხედვით, 17 ნოემბერია. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“¹⁷ მიხედვით, ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის საბუღალტრო სამსახური ვალდებულია დაასრულოს შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტის დამუშავება, შესაბამისი ჩანაწერები შეიტანოს ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), გამოიყვანოს ნაშთები ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის და მიაწოდოს საინვენტარიზაციო კომისიას. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დაფიქსირებულია მუნიციპალიტეტის ქონება 21727.9 ათასი ლარის ოდენობით. 2012 წლის 1 დეკემბრისათვის მატერიალური ფასეულობების ნაშთი „მთავარი წიგნის“ მონაცემებით შეადგენს 20949.2 ათას ლარს, ხოლო 2012 წლის 17 ნოემბრისათვის ნაშთი გამოყვანილი არ არის. ამდენად, ვერ დგინდება ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანისას, რომელი საბუღალტრო ნაშთებით იხელმძღვანელა საინვენტარიზაციო კომისიამ და რეალურად რა შედეგი დადგა ინვენტარიზაციით.

¹⁷ დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის № 605 ბრძანებით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების პარაგრაფი

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“

2011 წელს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებულია ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“, რომელიც სსიპ „ხობის პროფესიული სწავლების ცენტრის“ უფლებამონაცვლა.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პროფესიული სწავლების ცენტრზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო და მისი სახელმწიფო აღიარებისა და სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ავტორიზაცია და აკრედიტაცია¹⁸.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრს“ 2012-2013 წლებში ავტორიზაცია და აკრედიტაცია არ გაუვლია. მიუხედავად ამისა, მას ამ პერიოდში სუბსიდიის სახით მუნიციპალიტეტიდან მიღებული აქვს 2012 წელს - 78.1 ათასი ლარის, 2013 წელს კი - 81.3 ათასი ლარის დაფინანსება.

მუნიციპალიტეტზე გადაცემული შპს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან 2012 წელს¹⁹ ხობის მუნიციპალიტეტს გადაეცა შპს „ჭალადიდის ამბულატორიული გაერთიანების“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი. მუნიციპალიტეტის მიერ წილის გადაცემასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ვერ იქნა წარმოდგენილი.

¹⁸ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 20¹.

¹⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 28 მაისის №1-1/1231 ბრძანება.

მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია საზოგადოების ახალი წესდების დამტკიცება, საზოგადოების ხელმძღვანელობის დანიშვნა, ამბულატორიის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების დარეგისტრირება და საზოგადოების კონტროლი.

აუთვისებელი და დაუბრუნებელი მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები გრანტი

მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2013 წლებსა და წინა წლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერების ნაწილი თანხები აუთვისებელია (თანხები, რომლის გამოყენებაც მომდენო წლებში არ მომხდარა) და არაა დაბრუნებული ბიუჯეტში. 2014 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში დაუბრუნებელი თანხა შეადგენს 94.3 ათას ლარს, აქედან, 2012 წლამდე მიღებულია 10.5 ათასი ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან 2013 წლის ბოლოს მიღებულია მიზნობრივი გრანტი 160.5 ათასი ლარის ოდენობით, ციტრუსების დამზადებასთან დაკავშირებით. მიღებული გრანტიდან 2014 წელს ხარჯში ნაჩვენებია 2.8 ათასი ლარი. აუთვისებელი გრანტის თანხა აუდიტის მიმდინარეობისას შეადგენდა 157.7 ათას ლარს.

ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი, სპეციალური ტრანსფერებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მიღებული მიზნობრივი გრანტის აუთვისებელი თანხები არ არის დაბრუნებული და არც მისი შემდგომი ხარჯვის საკითხია შეთანხმებული თანხის გამცემ ორგანოებთან.

პოლიციაზე გაწეული ხარჯები

2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ პოლიციაზე გაწეული ხარჯები შეადგენს 138.1 ათას ლარს, აქედან: ტრანსპორტის ხარჯია 40.0 ათასი ლარი (საწვავი - 24.5 ათასი ლარი, ავტომანქანის რემონტის ხარჯი-15.5 ათასი ლარი); კომუნალური გადასახადები (ელ.ენერგია, წყალი, დასუფთავება) - 18.2 ათასი ლარი; ოფისის ხარჯი - 10.0 ათასი

ლარი; სხვადასხვა ხარჯები - 8.7 ათასი ლარი. გარდა ამისა, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გახარჯულია 61.2 ათასი ლარი, საიდანაც ავტომანქანა „ტოიოტა ქემრი სედანის“ შესაძენად მიმართულ იქნა 55.1 ათასი ლარი. აღნიშნული ავტომანქანა თხოვების ფორმით 2012 წელს გადაეცა პოლიციას და იმავე წლის ბოლოს დაუბრუნდა მუნიციპალიტეტს.

2012 წლის 1 იანვრისათვის, პოლიციაზე თხოვების ფორმით გადაცემული იყო 7 მსუბუქი ავტომანქანა, პირვანდელი 205.5 ათასი ლარის ღირებულებით. აღნიშნული მანქანებიდან მუნიციპალიტეტს 2012 წლის ბოლოს დაუბრუნდა 5 ერთეული, ღირებულებით 126.9 ათასი ლარი, ხოლო 2 კვლავ ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე და ფლობს პოლიცია.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხი

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2009-2011 წლებში ადგილობრივი გზების რეაბილიტაციისათვის ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია სამი პროექტი, შესრულებულია 2133.8 ათასი ლარის სამუშაოები, საიდანაც 1066.9 ათასი ლარი დაფინანსებულია ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტზე სესხად გაცემული თანხებით. სესხი მუნიციპალიტეტზე გაცემულია 10 წლის ვადით, წლიური 12%-იანი განაკვეთით. მუნიციპალიტეტმა პროცენტის სახით სულ უნდა გადაიხადოს 801.6 ათასი ლარი. სესხის სარგებლობისათვის გადახდილმა პროცენტმა შეადგინა: 2011 წელს - 84.9 ათასი ლარი, 2012 წელს - 185.7 ათასი ლარი, 2013 წელს - 108.1 ათასი ლარი. სულ გადახდილია 378.7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტს საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა: 2012 წლის 1 იანვრისათვის - 4851.7 ათასი ლარი, 2013 წლის 1 იანვრისათვის - 1091.5 ათასი ლარი. ამდენად, მუნიციპალიტეტს 2012-2013 წლებში თავისუფალი სახსრების სახით ერიცხებოდა საკმაო ოდენობის სახსრები. თავისუფალი სახსრების პირობებში, მუნიციპალიტეტმა მომავალში უნდა გაითვალისწინოს, რამდენად მიზანშეწონილია

ისეთი სესხების აღება, რომლით სარგებლობისას ძირითადი თანხის გარდა, გადასახდელია სესხის სარგებლობის პროცენტი, რომელიც სესხის 75%-ზე მეტია.

გაცემული პრემიები

ხოზის მუნიციპალიტეტში 2012-2013 წლებში პრემიის სახით სულ გაცემულია 546.2 ათასი ლარი, რომელიც შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხის 15%-ს შეადგენს. 2012 წელს გაცემულია 4 თვის პრემია, თანხით - 393.3 ათასი ლარი, 2013 წელს კი 2 თვის პრემია - თანხით 152.9 ათასი ლარი. პრემიები გაცემულია მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომელზე.

საკრებულოს მიერ პრემიის გაცემასთან დაკავშირებით დებულება შემუშავებული არ არის, იგი გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, აგრეთვე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე.

2013 წელს შტატგარეშე 15 მომუშავე პირზე გაცემულია 5.7 ათასი ლარის პრემია. პრემიები ისეა გაცემული, რომ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულების ანაზღაურების მუხლში წახალისება გათვალისწინებული არ იყო.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ხოზის მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა

19.12.2014 თარიღი

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა

19.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ზურაბ ტუსკაძე



ხელმოწერა

19.12.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

შალვა ბუცხრიკიძე



ხელმოწერა

19.12.2014 თარიღი